საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №104

2014 წლის 24 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის), სამსახურებრივი პირადობის მოწმობისა და ლუქის ნიმუშების დამტკიცების შესახებ

„ტყის ფონდის მართვის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის) ნიმუში", დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის სამსახურებრივი პირადობის მოწმობის ნიმუში", დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის ლუქის ნიმუშები", დანართი №3-ის შესაბამისად;

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშომელთა ნუსხა, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის) ტარება განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი — **ხათუნა გოგალაძე**

დანართი №1

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის) ნიმუში

1.

მამაკაცის სპეციალური ტანსაცმლის ნიმუში:

ა) მოკლემკლავიანი მაისური - მწვანე ან მუქი ნაცრისფერის, გადაფენილი საყელოთი და წინ განლაგებული სამი ღილით, წინა მარცხენა მხარეს გულის არეში შავი ფერის წარწერა ქართულ ენაზე „ეროვნული სატყეო სააგენტო“, ხოლო მკლავზე სააგენტოს ლოგო; საყელოს და მკლავების დაბოლოება მწვანე ან მუქი ნაცრისფერის ფერის.

ბ) წინაფრიანი ქუდი (კეპი) - კომბინირებული ფერების (ლურჯი ან მუქი ნაცრისფერის) წინაფრიანი ქუდი წინ მწვანე ფერის, სადაც სააგენტოს ლოგოა გამოსახული, უკან ზომის მარეგულირებლით;

გ) გრძელმკლავიანი პერანგი - კომბინირებული ფერების გადაფენილი საყელოთი - წინა და უკანა მხარის და მკლავების ქვედა ნაწილი მუქი ნაცრის ფერის, მკერდზე ორი ზემოდან დაკერებული კვადრატის ფორმის ჯიბით და წელის არეში ორი შიდა ჯიბით, ზედა ნაწილი ღია ნაცრისფერის, მკერდზე მარცხენა მხარეს სააგენტოს ლოგო, ხოლო მარჯვენა მხარეს შავი ფერის წარწერა ქართულ ენაზე „ეროვნული სატყეო სააგენტო“; მარჯვენა მკლავზე - სააგენტოს ლოგო და ქვემოდან შავი ფერის წარწერა ქართულ ენაზე „ეროვნული სატყეო სააგენტო“, მარცხენა მკლავზე მართკუთხედის ფორმის მუქი ნაცრისფერის ზემოდან დაკერებული ჯიბე;

დ) კაპიუშონიანი ქურთუკი - მუქი მწვანე ფერის, ელვა შესაკრავით, მარცხენა მხარეს სააგენტოს ლოგო, გაჭრილი კოკეტკა, წინა ზედა ორივე მხარეს ჯიბე ელვა შესაკრავით, მკლავებზე ორივე მხარეს ჯიბე ელვა შესაკრავით, წინა ქვედა ორივე ქვედა მხარეს ჯიბე მოსაჭიმი ორი კნოპით, სარქველი ერთი კნოპით, ტრიკოტაჟის მანჟეტი, მოსაჭიმი შიგნითა მხრიდან და ზურგის მხარეს ზემოთ ცენტრალურად განლაგებული თეთრი ფერის წარწერა ქართულ ენაზე „ეროვნული სატყეო სააგენტო“;

ე) გრძელმკლავიანი პულოვერი - თეთრი, მწვანე ან მუქი ნაცრისფერების, მარცხენა მხარეს გულის არეში სააგენტოს ლოგო და მის ქვეშ შავი ფერის წარწერა ქართულ ენაზე „ეროვნული სატყეო სააგენტო";

ვ) ქურთუკი ჟილეტი - მოკლე სტილის (ფერი მწვანე) თხელსარჩულიანი ქურთუკი ელვა შესაკრავზე (სარჩულზე შიდა ჯიბით), რომელსაც დამატებით გამოკრული უნდა ჰქონდეს მოხსნადი მათბუნებელი ჯილეტი ჯიბით, საყელო მდგარი, წინა მარცხენა მხარეს გულის არეში სააგენტოს ლოგო, წინ ქვემოთ გაჭრილი ჯიბეებით და წინა მარჯვენა მხარეზე გაჭრილი ჯიბე ელვა შესაკრავზე, კაპიუშონი და მკლავები მოხსნადი, მკლავების მანჟეტი და კურტკის დაბოლოება (ქამარი) რეზინზე, ზურგის მხარეს ზემოთ ცენტრალურად განლაგებული თეთრი ფერის წარწერა ქართულ ენაზე „ეროვნული სატყეო სააგენტო“;

ზ) მაღალყელიანი ფეხსაცმელი: შავი ფერის ტყავის და ნეილონის კომბინაციით შეკერილი თასმებზე შესაკრავი მაღალყელიანი ფეხსაცმელი.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 27 მარტის ბრძანება №112 - ვებგვერდი, 28.03.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 ივნისის ბრძანება №124 - ვებგვერდი, 13.06.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 ივლისის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 09.07.2014წ.

2.

ქალის სპეციალური ტანსაცმლის ნიმუში:

ქვედაბოლო და პიჯაკი - მუქი ნაცრისფერის, რომლის მარცხენა მხარის გულის ჯიბეზე გამოსახულია სააგენტოს ლოგო და მწვანე ფერის ყელსახვევი.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 27 მარტის ბრძანება №112 - ვებგვერდი, 28.03.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 ივნისის ბრძანება №124 - ვებგვერდი, 13.06.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 ივლისის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 09.07.2014წ.

დანართი №2

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის სამსახურებრივი პირადობის მოწმობის ნიმუში





საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 27 მარტის ბრძანება №112 - ვებგვერდი, 28.03.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 ივნისის ბრძანება №124 - ვებგვერდი, 13.06.2014წ.

დანართი №3

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს ლუქის ნიმუშები

1. . ლუქი №1 იძლევა სწრაფი დალუქვის საშუალებას (ნიმუში თან ერთვის).
ლუქი №1-ის ტექნიკური მახასიათებლებია:
ა) მასალა: პოლიპროპინელი ან პოლიეთილენი;
ბ) ზომები: საერთო სიგრძე – 346 მმ;
გ) სამუშაო სიგრძე – 260 მმ;
დ) ლენტის დიამეტრი – 2 მმ.
ე) მარკირება: შვიდნიშნა ან ცხრანიშნა ციფრით;
ვ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი და ყვითელი.

2. დანომრილი თვითწებადი ლუქი №2-ის გახსნის შემთხვევაში მასზე ჩნდება ინდიკატორული წარწერა „OPENED“, რომელიც მეორადი დაწებებისას არ იკარგება. ლუქზე შესაძლებელია დაწებების თარიღის და

ხელმოწერის აღნიშვნა ბურთულიანი კალმით (ნიმუში თან ერთვის). ლუქი №2-ის ტექნიკური მახასიათებლებია:
ა) მასალა: პოლიეთილენი;
ბ) ზომები: 20მმ X 60მმ ან 10მმ X 30მმ.
გ) მარკირება: ექვსნიშნა ციფრით.

3. ლუქ №3-ს აქვს ჩამკეტი და დაცვის რამდენიმე ხარისხი (ნიმუში თან ერთვის).
ლუქი №3-ის ტექნიკური მახასიათებლებია:
ა) მასალა: გამჭირვალე აკრილი.
ბ) მარკირება: შვიდნიშნა ციფრით, რომლის ბოლო სამი ციფრი დუბლირდება ჩამკეტ ნაწილზე.
გ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი, ყვითელი, შავი, რუხი.

დ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი, ყვითელი, შავი.

4. ლუქი №4 წარმოადგენს ჩამკეტ-დასალუქი მოწყობილობის მქონე მინიატურულ- ტროსიანი ლუქის სახეობას. მას აქვს ჩასახრახნი ელემენტი, რომლის მეშვეობითაც ხდება ლუქის ჩაკეტვა, რომლის შემდეგაც ეს ჩასახრახნი ელემენტი ტყდება. ლუქი №4-ის ტექნიკური მახასიათებლებია:
ა) მასალა: ლუქის კორპუსი – ალუმინის შენადნობი;
ბ) ტროსი – მოთუთიავებული ფოლადი;
გ) მარკირება: ექვსნიშნა ციფრით;
დ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი, ყვითელი, შავი.